შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ავტოტრანსპორტი 91“

ს.კ. 212670091 46000 საქართველო ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის გამზ. 53გ საქართველოს ბანკი BAGAGE22 GE07BG0000000298055300

N19 29.06. 2016 წელი

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2016 წლის თებერვლიდან ქალაქ თბილისის მერიის წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე ჩვენს საკუთრებაში აღრიცხული, მდებარე ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, საკადასტრო კოდი 01.72.14.038.460 (1201 კვმ) და ს/კ 01.72.14.038.461 (1000 კვმ) მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ მდებარე შპს DELTA-ს კუთვნილი 600 კვმ მიწაზე (ს/კ01.72.14.038.099. ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.07.2015 წლის #2017207 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე შეთანხმებული პროექტის დარღვევით მე-3 კლასიის მრავალფუნ–ქციური ხუთსართულიანი შენობის პროექტის დარღვევით მშენებლობის ფაქტზე. საჩივარი შემოტანილი იყო ჩემი, როგორც შპს "ავტოტრანსპორტი–91"–ს გენერალური დირექტორის და მოქ. თამაზ მამალაძის სახელით მიერ, აქვე განმვმარტავთ, რომ ვარ ამ საზოგადოების დამფუძნებელი და ამავე დროს მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. საჩივარი გადაეგზავნა თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურს, რომლის 2016 წლის 25 მაისისN16/133817 ბოლო წერილით გვეცნობა, რომ ობიექტზე შესაბამისი შემოწმების შედეგად არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურმა დამრღვევს 2016 წლის 01 მარტს მისცა დავალება ობიექტის პროექტის შესაბამისობაში მოყვანაზე, 2016 წლის 28 მარტს დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა და ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო 2016 წლის 17 მაისის N001196 დადგენილებით შპს "დელტა " დაჯარიმდა 3000 ლარით–ფაქტია, რომ ამან მენაშენე არ შეაჩერა და კვლავაც აგრძელებს პროექტის დარღვევით მშენებლობას.

2016 წლის 4–5 ივნისს გადამოწმებისას დავადგინეთ, რომ ობიექტზე მშენებლობა შეჩერებული არ იყო, პირიქით, ობიექტზე მშენებლობა მიმდინარეობდა დაჩქარებული ტემპით, იგივე დარღვევებით. ჩვენ ამ ფაქტებზე რამდენჯერმე წერილობით ვაცნობეთ ზედამხედველობას. 2016 წლის 06 ივნისს დამატებით გამოვლენილ დარღვევაზეც – მშენებლობის დამთავრებამდე და ექსპლოატაციაში მიღებამდე სამშენებლო მოედნიდან მშენებარე ობიექტის ფირნიშის პოტენციური მომხმარებლის შეცდომაში შესაყვანად

აღებაზედაც ვაცნობეთ და რეაგირება არ მომხდარა– ამ ფაქტმა სხვა დარღვევებთან ერთად მომავალში შესაძლებელია დამატებითი პრობლემები შეგვიქმნას– მოვითხოვდით მშენელობის შეჩერებას და კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას, რაც ვფიქრობთ არაა გაკეთებული–ობიექტზე კვლავ გრძელდება შენობის შიგა და გარე კეთილმოწყობის სამუშაოები, იღებება ფასადები, შპს "DELTA"–ს სსიპ არქიტექტურის სამსახურის 16.07.2015 წლის N2017207 ბრძანებით შეთანხმებული პროექტით უნდა აეშენებინა მე–3 კლასის მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ხუთსართულიანი შენობა, მომიჯნავე (ჩვენი) ნაკვეთების მხარეს მინაბლოკის ღიობების მოწყობით, ფაქტიურად სათანადო ზედამხედველობის არ გაწევის გამო აშენდა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი ფანჯრის სტანდარტული ღიობებით, მასშიდ მეტალოპლასმასის კარფანჯრების ჩასმით. დარღვეულია ჩაუხედავიბის ნორმა 9–10 ღერძებში არსებული აივნიდან 2–3–4–5 სართულებიდან –ვითხოვდით ჩემს, მოქალაქე თამაზ მამალაძის ნაკვეთის მიჯნის მხარეს კედლების ამოშენებას გვერდითი მხრიდან. მენაშენის მიერ პროექტის დარღვევით მე–3, მე–4 და მე–5 სართულებზე ერკერებს შორის თვითნებურად დაბეტონდა და მოეწყო ლოჯიები, 1–ელ სართულზე კ1 კოეფიციენტი დარღვეულია, იღზუდება მომიჯნავედ მდებარე ორივე ნაკვეთის სამომავლო განვითარების პერსპექტივა.

2016 წლის 25 მაისს არქიტექურაში შემოტანილი განცხადებით (Nარ. 1403333) მოვითხოვდით შეგეჩერებინათ მშენებლობის ნებართვის მოქმედება მანამ, სანამ ობიექტი პროექტთან შესაბამისობაში არ იქნებოდა მოყვანილი–3000 ლარიანი საჯარიმო სანქციით მდგომარეობა არ შეცვლილა, მით უმეტეს გავიდა 3 თვეზე მეტი, ეს ჯარიმა არც გასამმაგებულა, არც ფირნიშის არ ქონაზე ღინისძიება არ გატარებულა, არც მშენებლობა შეჩერებულა და მენაშენე მშვიდად აწარმოებს პროექტის დარღვევით მშენებლობასაც და ფართების გაყიდვასაც მინაბლოკით ამოშენებული ღიობების ნაცვლად სტანდართული ფანჯრებით და უკანონოდ გაკეთებული ლოჯიებით მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მხარეს.

განმეორებით მოვითხოვთ მიიღოთ ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი შენობის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანამდე მშენებლობის შეჩერებაზე, უკანონოდ გაკეთებული ლოჯიების დემონტაჟამდე, ფანჯრის ღიობების მოშლამდე–მათი მინაბლოკის კედლით შეცვლამდე.

შპს "ავტოტრანსპორტი-91"-ის
გენერალური დირექტორი: /თ. მამალაძე/